



№ 20

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება დრ. საზ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან. Тифლისь, Редакция «Театри да Цховრება»

Иос. Зах. Имедашвили

ხელის მომწერთ ვთხოვთ ფულის შემოტანა დააჩქარონ.

— \* შინაარსი იხილ, ბოლომე \* —




იოსებ დავითაშვილი (1850—1887)

23 მაისი 1910 წ.

ხალხის გულის იოსებ დავითაშვილი და მესაიდუმლენი. ეგ. ნინოშვილი—აი ორი გამოძახილი ჩვენის მრავალტანჯული მშრომელი ხალხისა, ორი მკეჭარე და უკვდავი ხმა მარად დევნილ-შევიწროვებულთა, ალტყინებული სულითა...

ორი სხვა და სხვა კუთხის,—იმერეთის და ამერეთის,— მაგრამ ერთის ქვეყნის შვილი, ერთის ძუძუთი გაზრდილი, ორავე ერთნაირად ცხოვრების შხამ-ნაღვლეში გამოწრთენილი, ქვეყნის მოწინავეთაგან ორივე მულამ ერთნაირად შევიწროვებული, იკვლევდა ცხოვრების გზას, საკაცობრიო იდეალებს.

ორივე ერთნაირად მოსთქვამს თავის მშობელი წოდების ბედსა და უბედობას და უკეთესის მომავლისაკენ მოუწოდებს ყოველს, ვისაც გულში არ ჩაქრობია უკეთესი მერმისის რწმენა.



ევნატე ნინოშვილი (1867—1894)

თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილება, ლითონისა და უფლებების ბატონობა, ცხოვრების მუხრუჭი ორივეს დედინაცვლურად მოეპყრა, მაგრამ მათ შინც გულში არ ჩაიქრეს სიყვარული უმადლესისა, უმშვენიერესისა, უდიდებულესისა და ცრემლითა და სისხლით აპოხიერებდნენ თავიანთს უკვდავს ცხოვრებას, სულიერ მისწრაფებას...

გურული ღარიბი გლეხის ინგოროყვას შვილმა—ევნატე ნინოშვილმა და ქართლელი გლეხის ნაშობმა—იოსებ დავითაშვილმა ჰანგი

ჰანგს შეუხმატბილეს და შრომის შეიღოთა ტკბილ-მწარე სიმღერა შექმნეს...

ოსებ თავითაშვილი ოთხმოციან წლებში — „ტეტითა მოტრფილეობის“ ხანაში — გაიფურჩქნა, ეგ. ნინოშვილი ოთხმოცდაათიან წლებში — მუშათა ამოძრავების ხანაში — გადაიშალა... ერთს მეორე არ ენახა, მაგრამ ორივეს ჩანგის სიმებმა ერთი და იგივე ხმა გამოსცა, რომელიც მოგვიწოდებს ცხოვრების განკარგებისაკენ.

სამოცი წელიწადია, რაც ოსებ დავითაშვილი დაიბადა, თითქმის მეოთხედი საუკუნე — რაც გარდაიცვალა; თექვსმეტი წელიწადია რაც ეგ. ნინოშვილის გვემულ-ტანჯული სხეული მიისვენა გურიის მიწა-მშობელმა, სწორედ იმ დროს, ოდეს მისი ნატვრა-ოცნება ფრთებს ისხავდა...

და დღემდე კიდევ ღირსეულად ვერ შეგვიძია ამ ძვირფას ადამიანთა სამარენი... მაგრამ...

ის, ვის ბედსა და უბედობასაც ამ ორი მწერლის ჩანგი უმღერდა, სულიერად ჯერ კიდევ ღრმა ძილშია...

ის, ვისაც ამ ორი მწერლის კალამი ჰგმირავდა, მაინც და მაინც მადლობით არ მოიხსენიებს ამ თვით-განვითარებულთ, აზრის მეზობლთ, ქვეყნის ჭირისუფალთ, არამც თუ ძველი დაუდგას...

ჩვენ აქ მიზნად არა გვქონია განგვებილია ი. დავითაშვილისა და ეგ. ნინოშვილის ლიტერატურული მოღვაწეობა. ი. დავითაშვილის თხზულებას წინ უძღვის მისი შრომის განხილვა და ეგ. ნინოშვილის თხზულებას — ეგ. გომართელის საუცხოვო წერილი „ხალხის გულის მესაიდუმლე“.

ყოველი დაინტერესებული და ფხიზელი ადამიანი განიხილავს მათ და გაიცნობს, თუ ჯერ კიდევ არ იცნობს, და დაინახავს, რა უღრმოდ დასასმარა ეს ორი გულ-წრფელი, სვეტაკი გრძნობის ადამიანი, მართლა და დევნილთა და შევიწროვებულთა გულის მესაიდუმლე...

და ახლა თუ მოვიგონეთ ამ ორი ადამიანის სახელი, მხოლოდ იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ აღგვენიშნა ჩვენის საზოგადოების გულცხოვრობა თავის მოღვაწეთამდლი...

ყოველი ადამიანი, ვინც შეგნებით ცხოვ-

რობს და მოაზროების უნარს არ არის მოკლებული, ყოველნაირი საშუალებით ეცდება მათს ხალხში გავრცელებას, მათის იდეების მასაში გაღრმავებას...



## მონაც მღერის

მონაც მღერის, როს ბატონი თავზე ადგა, თავს დაჰყვირის, როცა მიიმე უღელს ათრევს მონაც მღერის და იცინის.

ეს სიმღერა, იღუმალი, მის ფიქრია და იმედი. ამ ხმაში სცემს იგი ჩაქუჩს, იქ იწვრთება მისი ბედი!

ამ ჰანგებში იღვრება მხამნაღველი, მისი დარდი, და მასშივე იფურჩქნება მის ია და მისი ვარდი!

ღიახ, მღერის, როს ბორკილი ამძიმებს და უხრის ქედსა, — ასე ვეფხვი ბრძოლის ველზე სანახტომოდ იგრებს წელსა!

ი. ევლოშვილი



## ჩემი შენიშვნები

3 \*)

ერთ-ერთ ხელის შემშლელ და დამაბრკოლებელ მიზეზად ჩვენი თეატრისა... როგორ გვგონიათ, რა მიზეზია?

— ანტრეპრენიორობა ჩვენის დრამატული საზოგადოებათა.

ეს თითქო საკვირველია ერთის შეხედვით მაგრამ ვინც საქმესთან ახლო მივა და დაუკვირდება, არ შეიძლება არ დამეთანხმოს.

საკვირველი კია, იმიტომ, რომ ის დაწესებულება, რომელიც დამზარე უნდა იყოს ხელის შემშლელი გამოდის. მაგრამ ცხოვრება უყვარს ხოლმე ესეთი ირონია და, შეიძლება

\*) საიამოვნებით ვებქდავთ ამ წერილს, თუმც: პატრიცემულ ავტორის ზოგიერთ მოსაზრებას არ ვეთანხმებით.

სხვაზე მეტად ამ საქმეში გამოიჩინა კიდევ თავის დაცინვის ძალა.

მათი ხელის შემშლლობა კი — თუ შეიძლება ასე ითქვას — ჩემის ფიქრით, აი რაში გამოიხატება:

შესდგება თუ არა რომელიმე კომიტეტი დრ. საზოგადოებისა და აიღებს თუ არა ანტრეპრისას, იგი მაშინვე, რაღაც მანქანების ძალით, პირდაპირ მოხელეთა კრებულად იქცევა, რომელიც ბიუროკრატიულ დაწესებულებად.

ფრაზები დიდია — სამშობლოს სიყვარული, სცენის აყვავება, შრომის საქიროება და სხვა. საქმე კი „ჩინოვნიკურია“, ფორმალისტური, ყოველი მათი მოსამსახურე, უმაღლეს მსახიობიდან დაწყებული, უმაღლეს სცენის პაიკამდე, ცხადია გრძნობს, რომ მას ვიღაც უფროსი გაუჩნდა, მაგრამ უფროსი მმა კი არა, ან საპატიო მამა, რომლის გამოცდილებას შეიძლება ყური მიუვდო და სასარგებლოთ გამოიყენო. არა, გაუჩნდა „ნაჩაღნიკი“ ამ სიტყვის სრულის რუსულის მნიშვნელობით. მსახიობიც მათთან თავის თავს პაწია მოხელედ გრძნობს და მათ შორის — მოანტრეპრენიორე კომიტეტისა და მსახიობ შორის — ჩნდება უშველებელი უბსკრული. მათ თითქო უნდა აკავშირებდეს იდეა, ერთი საქმის სამსახური, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არა ხდება. კომიტეტი თითქო რაღაც განზე გამდგარი დაწესებულებაა, ოლიმპიელთა კრებული, რომელთაც, უფრო ხშირად, მხოლოდ ისა აქვთ თავის მიზნათ დასახული, რომ როგორმე და რითაც უნდა იყოს მსახიობნი გაისტუმრონ. ეს უმთავრესია. თუმცა ზოგჯერ ამასაც ვერ ახერხებენ. სხვა, მთელი სხეული საქმისა, მისი სული და გული — რებერტუარი, მსახიობთა მუშაობის ვითარება და სხვა ათასი წერილმანი და მსხვილმანი მხარე საქმისა — მისი გამკვება, აღმინისტრაცია — მუდამ-ჟამ მივიწყებულია და გადაფურჩებული. შეიძლება საქმის, ე. ი. სეზონის დასაწყისში ეს ყოველივე ქალაღზე იქმნას აღნიშნული, შეიძლება დიდის აშბითაც ექმნეს მთელი პროგრამა მუშაობისა შედგენილს დასს გამოცხადებული, როგორც რომელიმე სეფესიტყვა, მაგრამ შემდეგ კი იშვითათა, რომ მსახიობმა თუნდა უბრალოთაც ნახოს და განიცადოს სახე თავისი კომიტეტის წევრისა, განსა-

კუთრებით შემოსავალმაც თუ იკლო... ამ გვარ შემთხვევაში თითო-ოროლა გულ-შემბატკივარი კომიტეტის წევრთაგანი თუ შერჩება დასს და ძალიან ხშირად მხოლოდ თეთი დასსა და ამ თითო-ოროლას ატყდება კიდევ თავზე მთელი მორალური და ნივთიერი მარცხი სეზონისა. ასე რომ ბოლოს და ბოლოს კომიტეტს კი არ მიჰყავს სეზონი, არამედ, უფრო ხშირად, ბედის ანაბარად მიგდებულ დასს და მის რეჟისორს. ფირმა კომიტეტის რჩება, მუშაობა და ქაანის-წყვეტა კი მსახიობების.

ძალიან ხშირად კომიტეტის წევრებმა მაგ. არც კი იციან, ვინ მსახურებს მათ დასში. და, მაშასადამე, სულ არ იციან, ვინ რაშია გამოსადეგი. ამის მავალითებიც ხშირია. არ იციან დღეს რამიმართულება ესაქიროება თეატრს; რა გზას უნდა დაადგეს ან რატომ. არ იცნობენ ჩვენს და მგონი უცხო ლიტერატურასაც, მით უფრო დრამატურგის, არ იცნობენ ჩვენი მსახიობის ინტელექტს, მის ღირებულებას, მის სულსა და გულს, მის ინდივიდუალობას და ისე ეპყრობიან, როგორც რომელიმე შტაბის მწერალს, ან უბრალო ნოქარს, ზოგჯერ უარესადაც. არ იცნობენ დღევანდელ მსმენელს და მაყურებელს, არ იცნობენ მის მოთხოვნილებას, არც უწყვეტ ანგარიშს მის მორალურ ზრდას თუ ჩამოქვეითებას და მებრვე სხვა.

რატომ ხდება მერე ეს? — ამის მიზეზიც, კარგად ვიცი, უფრო ღრმაა და შორეული, მაგრამ სხვათა შორის იმიტომაც, რომ მათი არჩევანი შემთხვევითაა და არა აქვს ამ არჩევნებს არც სისტემა და არც რამე იდეა; იმიტომ, რომ ისეა დაყენებული საქმე, უმრავლესობას არ აინტერესებს დრ. საზოგადოების კრებები და არც ესწრება მას. სკრებებს კი ესწრება, ისიც მეორეს, რადგან პირველ კრებას მგონი არასოდეს საქამო რიცხვი არ დასწრება, უფრო ხშირად ვინმე გულ-შემბატკივარისაგან ძალით წამოყვანილი ისეთი წევრი, რომელმაც ქველ-მოქმედებისათვის გადაიხდა თავისი შ თუ ნ მ. და სხვა ასავალ-დასავალისა კი არა იცის-რა. კრებაზედაც უფრო ხშირად ირჩევენ ასეთ ძალით მოყვანილ პირებს, რადგან ისედაც მცირე-რიცხოვან კრებაზე მართლაც ძნელია შეარჩიო ცოცხალი, საქმის მტოდნე და მოყვარული ადამიანი. არჩევნები კი

უნდა შესდგეს და აი სდგება არეოვაგი საქმის სრულიად შეუფერებელ პირთაგან. ან და კიდევ, თუ ვისმე ერთი რამე ვოდევინი გადმოუქართულებია, ან სადმე კერძო სცენაზე ოდესმე უთამაშნია, ან ორიოდ რეცენზია დაუწერია, ესენი ხომ ყველაზე უფრო სასურველი კანდიდატები არიან ხოლმე. ასე რომ თვით ამრჩევილებიც და ამორჩეულნიც, უფრო ხშირად, იმ პირთაგან შესდგება, რომელთაც მხოლოდ საწევრო ფული აქვთ შეტანილი, თორემ ისე კი თვალსაჩინო არაფერი აერთებთ თეატრთან. მსახიობები? ესენი ხომ ღებულობენ მონაწილეობას არჩევნებში?..

მე დავესწარი ერთ კრებას დრ. საზოგადოებისას და უმრავლესობისაგან გიმოითქვა ის აზრი, რომ მსახიობთ უფლება არც კი უნდა ჰქონდეთ არჩევნებში მონაწილეობისაო. Они давлениэ произведут-ო, იმას აირჩევენ ვინც მათ მოეწონებათო. თითქო ამითი დიდი უბედურება ხდებოდას!.. თითქო სწორედ ავრ არ უნდა იყოს!.. თითქო მსახიობმა უკედ არ იცოდეს, მის საქმეს როგორი კაცი უფრო ესაჭიროება!.. — როგორ შეიძლება, იქნება მაგ. მე კომიტეტში მოვხვდე, კომიტეტმა ანტრეპრიზა აიღოს და მე კი ჩემის მომავალის ხელკვეითის აზრებს დავემორჩილო კრებაზე და საზოგადოათ ხმის მიცემის უფლება მივცეო. — მართალია, არის აქ ერთი „პუნქტი“ ცოტა საჩოთირო. ეს მომავალი „სმეტის“ დამტკიცებაა. რომელიმე არა კეთილ-სინდისიერი მსახიობი ეცდება „სმეტაში“ დასის შენახვის თანხა გააზიადოს, რომ შემდგეში თვითაც მეტი ჯამაგირი მოითხოვოს, მაგრამ ხომ შეიძლება სწორედ ამის უფლება შემოუსაზღვრონ მსახიობს. ასეა, მაგრამ მინც ხომ გესმით „ხელკვეითი“ და „ნაჩაღნიკი“. არსად, არავითარ დაწესებულებაში არა ხდება, რომ მაგ., ბუხგალტერი, კასირი და სხვები არჩევნებში მონაწილეობას ღებულობდესო. ხომ ხედავთ ცოცხალი საქმე თეატრისა როგორ ჩარჩოებშია ც თავსდება თურმე!

მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ იდეალური კომიტეტი იქმნა არჩეული და ანტრეპრიზას ხელი მოჰკიდა.

თქვენა გგონიათ აქ კი წავა საქმე?

— არა, თავისს უარესს ემჯობინება, რა-ღა თქმა უნდა.

მაგრამ მისი საფრენად გაშლილი ფრთები მინც ჩაიკეცება ბიუროკრატიულ და „ნაჩაღნიკურ“ მუნდირი.

მინც უფსკრული გაჩნდება მსახიობსა და მათ შორის.

მინც ერთის მხრით უმცროსი მოხელე იქმნება, მეორე მხრით უფროსი. და ამ უმცროსს არ ექმნება უფლება თუნდა მხოლოდ იკითხოს—ეს რათ ხდება ასე და არა ისეო. ის თავის ღღეში ვერ გაივებს კომიტეტის გადაწვევებთანა მიზეხს. იგი იქმნება მუდამ ბიუროკრატიულ ჯანყითა და ბურუსით მოკული.

— თქვენ თქვენი საქმე გაკეთეთ, ჯამაგირი აიღეთ. ეს იქმნება მუდამ პასუხი.

ასე ყოფილა, ეს თვისებაა მისი. რაკი დაწესებულებაა, მოჩა და გათავდა, იქ უკვე ფორმა და რუტინა მეფდება. ამას ვერას უშველით!

რათ ხდება ეს? არ ვიცი, ადამიანს საზოგადოათ რაიმე უფლება, რაც უნდა მცირე იყოს იგი, აბრუებს თუ რა არის, მხოლოდ ეს კი ცხადია, რომ გუშინდელი საყვარელი, სათნოიანი და ხელ-მისაწვდომი ადამიანი, აქაც, კომიტეტის წევრობაშიაც ხდება ბიუკარტული, ცივ-სახიანი და ოლიმპიელი. რა თქმა უნდა გამონაკალი აქაც არის, მაგრამ, როგორც იტყვიან ხოლმე, მაშ რიდას ტიპური მოვლენა იქმნებოდა, თუ თავის გამონაკლიც არ ექნებოდა!

რამდენი რამ შეიძლებაოდა კიდევ დამესახელებინა ჩემი აზრის გასამტკიცებლათ. მე რომ „კურიოზების“ შემკრებელი ვიყო, რამდენ სასაცილო და თან სამწუშაროს, რასაკვირველია, მაგალითის მოიყვანდი კომიტეტისა და მსახიობთა დამოკიდებულებისას, მაგრამ ასეთ მემატინაობას არა ვკისრულობ, მე მხოლოდ სქემატურად მინდა ის აღვნიშნო, რასაც ვგრძნობ და რაც მოსაწონად თუ დასაწუნად მიმაჩნია.

თუ რამ „პლიუსათ“ ჩათვლება ჩვენი კომიტეტის წევრებს, ეს ისევ ის, რომ ისინი სრულიად უსასყიდლოთ მუშაობენ და, რა თქმა უნდა, არავითარი ანგარება მათ საქციელში არ ურევია. ხშირად გავგვიგონია, რომ ამისათვისაც მაღლობელი უნდა ვიყოთ მაგრამ..

ამაზე ბებერი მანდილოსანი ზრდილობა თითს მიქნევს და მეც ვჭუშმდები.

ისე კი, ჩემის ფიქრით, დრ. კომიტეტები ანტრეპრენიორობას რომ ხელს კიდებენ, დიდატდებიან. ე. ი. აცდენენ დროს. თუ მაინც და მაინც დღეს-დღეობით, ჩვენს წეს-წყობილებაში, მიუტოლებელია მათი არსებობა—მათ აქვთ მშვენიერი და ვრცელი პროგრამა. განა მათი განხორციელება უფრო საპატიო და უფრო ნაყოფიერი არ იქნება: დრამატული სკოლის დაარსება, პერიოდულ თუ სხვა გამოცემათა გაძღოლა, სტაჟენდიები და, დასასრულს, სუბსიდიის არსებულ დასისა ე. ი. დახმარება შენობით, მორთულობით და სხვ., თუ მაინც და მაინც ფულით შეუძლებელი იქნება. ჩემის ფიქრით, ამის გაძღოლა მათთვის უფრო მოსახერხებელიც არის და უფრო ადვილათ შესათვისებელიც, ვიდრე მოვლა და პატრონობა ისეთი ცოცხალი საქმისა, როგორც სეზონის წაყვანა.

მერე განა მარტო ჩვენში ასე? ყველგან, ყველგან ასე ყოფილა. გადახედეთ ყვეოპის თეატრებს, რუსეთისას. რომელი თეატრია უფრო ცოცხალი? რომელს მოუტანია მეტი ნაყოფი ხალხისათვის? რომელი ყოფილა მალაღობისა და დიდებულ იდეათა მქადაგებელი და მატარებელი?—კერძო, კერძო და კერძო. არა ხაზინისა და მთავრობისა ე. ი. „ჩინოვნიკურ“ დაწესებულებისა, არამედ თვით მსახიობთა-მხერ შემდგარის კრებულისა, თვით მოქმედთა-მხერ წაყვნილის საქმისა.

პარიზში მხოლოდ ანტუანმა გაბედა იბსენის დრამების წარმოდგენა. ვანტჟმული „კომედი-ფრანსეზ“—ის თეატრი კი ახლაც ახლოს არ იკარებს იბსენისთანა რეგულიუციონერებს. თვით ახლანდელი „შანტელერი“ როსტანისა, რომელიც რა-კი სიტყვამ მოიტანა, უნდა ვთქვა, რომ დიდათ ვააზვიადეს, თორემ ბევრს არას წარმოადგენს, მაინც კერძო თეატრში იქნა წარმოდგენილი და არა „კომედი-ფრანსეზ“-ში, თუმცა ავტორი სახელ-მოხვეჭილი მწერალიც არის და აკადემი კონსიკი.

რათა?—იმიტომ რომ იქ, როგორც არა ერთხელ მითქვამს, ერთგვარი რუტინა არსებობს, ერთგვარი ყალიბი და მაგას არ გადაცდება არაფრისათვის. ისე, როგორც მეგრული

მიწის მუშა, რაც უნდა ბევრად მარგებელია და ნაყოფიერი მცენარე მისცე დასათესად და მოსაწყვავად, თავის სიმინდს მაინც არაფერს არ ანაკვალვს. სიმინდი და სიმინდი!— გამოიფიტა მიწა, თვით სიმინდიც იმდენს აღარ იძლევა. ამერიკამ კიდევ თითქმის გამოადგენა სამთელ-ქვეყნო ბაზრიდან ჩვენებური, მაინც არა, ისევ სიმინდი, ისევ ფეკლის ლომი! არ სჯერა, რომ ჩვენი ბუნება უხვია და მრავალ-ფერი და სხვა ბებერი რამის მოყვანაც შეუძლია.

რუსეთში—გახსოვთ უთუოდ როგორის თვალითაც უყურებდენ ჩეხოვის „ვარჯიშობას დრამატურგიაში“, მაგრამ სტანისლაესკისა და ნე-მიროვიჩ-დანჩენკოს თავისუფალმა თეატრმა პირდაპირ ახალი დრამატურგი მოიპოვა ჩეხოვით და ვნახეთ კიდევ როგორი ფართო გზაც მისცეს მის მშვენიერსა და ნახს სადრამატურგო ნიქს

ასე იქ, სხვაგან, მაგრამ იქ შეიძლება „გასპეციალებასაც“ ზოგჯერ თავისი შესაწყვარებელი მიზეზიც ჰქონდეს. ერთგან რომ მაგ. მხოლოდ კლასიკების ნაწარმოებთა წარმოდგენა, სხვაგან სრულიად ახალგაზდათა და უჩინართა თეატრია შექმნილი. ეს იქ კიდევ შესაძლებელია, ისეთ ლაღსა და ღონიერს საზოგადოებაში. თუმცა თავისთავად რუტინა არასოდეს და არავისი არ არის მოსაწონი, მაგრამ მაინც ჩვენ ეს გვეთქმის, რომ „რაცა შვენის კახაბერსა—ის არ შვენის გლახა ბერსა!“

თუმცა მაინც და მაინც ასეთი ყოფილა ბედი ყველა ამ სახაზინო და ოფიციალურ თეატრთა, სამხატვრო და სამუსიკო დაწესებულებათა და აკადემიათა. გეხსომებათ, რაც მოხდა წელს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. გამოცხადებული იყო პრემია აღექსანდრე II-ის ქანდაკებისა. უყურადღებოთ დასტოვეს დიდათ მშვენიერი და აზრიანი ქანდაკებანი პაოლო ტრუბეტკოსისა და სინაევ-ბერნშტეინისა, პრემია კი მიუსაჯეს ერთ რაღაც კახარმულ სწორედ ჩამოთლილ უზბორო და უიდგო ქანდაკებას. ვინ?—აკადემიკოსებმა. ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ არის, ამასვე ამბობს მთელი მოწინავე პრესა რუსეთისა, თუმცა საკმაო დახელოთ მოდლებს ამ ქანდაკებათა, რომ ცხადათ იგრძნოთ დასახელებულ ავტორთა ქანდაკების უპირატესობა.



ჩვენშიაც აქამდის რომ არსებულებოდა ერთი თავისუფალი თეატრი, უკომიტეტო და საქმის სიყვარულით შეთანხმებულ ამხანაგებისა, მე დარწმუნებული ვარ მეტი არტისტებიც გაგვიჩნდებოდნენ და მეტი ავტორებიც. მათი განვითარებაცა და ზრდაც უფრო დიდი იქმნებოდა. საკმარისია გავისვენოთ 90-იან წლებში გაჩენილი ავტორები: ხაინდრავა, ბენაშვილი, გულისაშვილი, რომელთაც ცხოვრების დაკვირვებაც ეტყობოდათ და სასცენო უნარიც დრამატურგისა. მათ რომ თავის დროზე კარგი მომვლელი ხელი შესხვედროდა, დარწმუნებული ვარ, ჩვენი დრამატურგია ახლა უფრო მდიდარიც იქმნებოდა და უფრო ცოცხალიც, ცხოვრებასთან ახლო.

თუმცა დავეთხოვოთ იმას, რაც „იქმნებოდა“. ვილაპარაკოთ იმაზე, რაც უნდა იყოს, მაგრამ ამაზედაც შემდეგ ერთ-ერთ წერილში.

შალვა დადიანი



# ზღვა... ოკეანე!

(გუქდება ან. თურკუჯინის ასულის)

ზღვა... ოკეანე!

შის ჩასვლისას, ალისფერი რომ გადაჰკრავს დასავლეთის ცის კიდეზე, მშვენიერი ხარ მდორე და წყნარი!

ზღვა... ოკეანე!

როს ნახი სიო თავზე დაგქრის, გეაღერება თითქოს გიკოცნის გულსა და მკერდს, რომ მოიხვეწო, მშვენიერი ხარ — თინიერი, სანდომიანი.

ზღვა... ოკეანე!

როს ფთვარს იშლი, ტალღას აგორებ აღქაფებული და გამძვინვარებით ეხეთქები შენს წინ ამართულ სალი კლდის კედელს—თვალწარმტაცი ხარ... შიშის მომგვრელი!

ზღვა... ოკეანე!

როს ღრიალებ და თავზარსა სცემ მთელს არე-მარეს, როს უზარმაზარ ხომალდებსა შენს ტალღათ შორის ისე ისვრი, თითქო ნაფოტკო, —თვალწარმტაცი ხარ... შიშის მომგვრელი!

ზღვა... ოკეანე!

ვერას გაკლებს შენ ვერც იმ ქვეყნის,

ვერც ამ ქვეყნის ძალი და ღონე! ადამიანმა, რომელმაც ყველა დაიპოვნა და რომელსაც თვით ღმერთებიც-კი შებოქილი ჰყავს, ხელი ვერ გახლო!

შენ შენს ნებაზე ხან დამშვიდდები, დაწყნარდები, თინიერი ხდები, ხან-კი მქუხარებ, აღქაფდები, გამძვინვარდები!

ყოველი სულდგმული, ადამიანი, თვითონ ღმერთიც-კი შენ შემოგნატრის...

ჰო და ამიტომ თავყანსა გცემ, მიყვარხარ მეტად, რომ თუ ვისმესა თავისუფლება მინიჭებული აქვს და ასე ხმარობს, რომ ვერაინ ხელს ვერ შეახებს, ეს შენა ხარ, თვალწარმტაკო და მშვენიერო, შიშის მომგვრელო და დიადო ზღვავე... ოკეანე!

ვანო ბარველი



კონ. სერ. სტანისლავსკი

ვლად. ივან. ნემიროვიჩი-დანჩენკო

(დასასრული. იხ. „თეატ. და ცხოვ.“ № 19)

ახლომა გზამ ახალი მოგზაური მოითხოვა ნატურალისტურ პიესების ცრუკლასიკური პრინციპებით თამაში შეუსაბამო გახდა. სიმღერით, გაქიანურებული ლაპარაკი, თეატრალური მიხვრა—მოხვრა მწუფურებელი იყო. მიენიგვლების რეალიზმი სავსებით ვერ აკმაყოფილებდა ახალ დრამას. საჭირო იყო სინამდვილე და ბუნებრივობა არა მარტო ტენიკაში, —საჭირო იყო მსახიობი—გმირის ქეშარიტი გამოშატველი, ნამდვილი ბუნებრივი და არა ზღაპრული. ერთი სიტყვით, ახალ დრამას უნდა წარმოეშვა ახალი თეატრი. და ამ ახალი თეატრის პიონერებად გამოდიან **კონ. სერ. სტანისლავსკი და ვლ. ივ. ნემიროვიჩი-დანჩენკო.**

სამხატვრო თეატრი დაარსდა 1898 წ. მისი დევიზი იყო „გულწრფელობა და ბუნებრივობა“, ამის განხორციელება შეიძლება მხოლოდ ნატურალისტურ დრამებით და მან თავისი სახე პირველად ჰაუბტმანის პიესაში დაანახვა საზოგადოებას. პირველი გამოსვლა გამარჯვებით დასრულდა.

მსგავსად ინგლისისა, საფრანგეთისა და ჰერმანიისა, ღღემდის ჩამორჩენილმა რუსეთმაც

თავი იჩინა. სამხატვრო თეატრმა ისეთი სხივი სტყორცნა, ისეთნაირად გამოაშუქა, რომ საზოგადოება მოხიბლა, გააბრუნა. ცხად-პყო, რომ არა თუ ნატურალისტურ დრამებს—უფრო რთულსა და ძნელ პიესებსაც დასძლევდა და განახორციელებდა. მისი ესთეტიური გეგმის ქვაკუთხედი იყო „შტებკინის-ტრადიცია ჩეხოვის\*)“ ახალ სამოსელში გახვეული“; რეალიზმი — იმპრესიონისტურის ელფერი; სცენიდან სინამდვილით გადმოცემა ცხოვრების არა მარტო ამა თუ იმ მხარისა, არამედ ხაზის გასმა მთელი პიესის სულიერ მდგომარეობისა.

ყოველი ახალი გზა, ახალი ამოცანა — ახალის გამარჯვებით გვირგვინდებოდა, ამ გამარჯვებით წაქეზებული სამხატვრო თეატრი წინ გაიწია. იგი ვერ დაკმაყოფილა ამ გამარჯვებამ. მისი მეთაური გრძობდნენ, რომ თანამედროვე სასცენო ხელოვნებაც მოძველდა, იგი უნდა შეიცვალოს. განახლდეს, მონახოს სულ სხვა გზა. გადავიდეს პიესების დღემამ, შემეცირდეს სცენის მორთულობა, მოისპოს დეკორაციები. ერთი სიტყვით სცენაზე გაბატონდეს მსახიობი და მხოლოდ მსახიობის თამაშობამ შეაღწას სცენის სიკალიერე და დაიპყროს მაყურებლის გონება. მათ შესცვალეს თავიანთი პროგრამა: იმპრესიონიზმს რეალიზმი ჩამოაცალეს და გახდნენ უკიდურესი იმპრესიონისტები (მეტერლინიკი „ბრმანი“, პირველი ხანა), ეწაფებიან სტილიზაციას (კ. ჰამსუნი, ლ. ანდრევეცი), — ამავე დროს იღვებენ პაუპტმანი, იბსენი, გორკი, ჩეხოვი, შექსპირი. ლ. ტოლსტოი, ა. ტოლსტოი და სხ. ამ ახლის ძებნაში იყო შეცდომები, მაგრამ ეს შეცდომებიც კი ბრძენით შემეკულნი. მეტერლინიკის „ბრმებმა“ ვერ დაკმაყოფილა მეთაურთა მისწრაფებანი, ვერ გასცა პასუხი მათ საკითხს, სამაგიეროდ მეტერლინიკისავე „იქ, შიგნით“ — ის დადგამს საზოგადოებას დაანახა, თუ რის შემძლეა სამხატვრო თეატრი და „ლურჯმა ჩინა“ — კი — რამდენად სრულ-ქმნილია სასცენო ტექნიკა. ამ ძებნაში გაატარეს სრული ათი წელი.

\*) უმთავრესი სულის ჩამდგმელი სამხატვრო თეატრის რეპერტუარია ა. ჩეხოვი იყო; მისი პიესები იმდენად ბუნებრივად და უნაკლულად წარმოადგინეს, რომ დღესაც ამ პიესებს პირველი ადგილი უჭირავს და თეატრსაც სამარალიანად უწოდებს „ჩეხოვის თეატრი“.

ბევრი შრომა და ენერჯია დაიხარჯა — სამაგიეროთ იპოვნეს გზა ახალსაკენ. მეთაური და რწმუნდნენ, რომ სტილიზაციისკენ მისაღწევი გზა ერთია — შექმნან ახალი მსახიობი, მსახიობი, რომელიც გადაიქმნება იმ გმირად, რომელსაც იგი თამაშობს, გაითქვიფება როლში და სცენაზე დაიფიწყებს, რომ იგი მსახიობია, ხელოვანი: სცენაზე თამაში გულწრფელი, ბუნებრივი (Искренность, простота и правдивое переживание). ამისთვის სრულიად საჭირო არ არის მოდერნიზმი. შეიძლება დაიდგას ორიგინალური, სულ უბრალო პიესა, მხოლოდ ითამაშონ ზემოხსენებულ პრინციპებით.

1908 წ. სამხატვრო თეატრმა გადინა 10 წლის იუბილე შესცვალა თავისი რეპერტუარი და დაადგა ამ გზას.

„იღი ხანია სასცენო ხელოვნებაში საჭირო იყო რეაქცია და სტანისლავსკის თეატრმა შექმნა იგი... მან შექმნა ერთგვარი სცენიური ატმოსფერო — მსახიობთა და მაყურებელთა შორის განუწყვეტელი სულიერი კავშირი“ — ამბობს ა. გორნფელდი. მართალიც არის. სცენა და საზოგადოება, როგორც შექსპირის დროს, თითქმის ახლაც გაყოფილი იყო ორ ბანაკად. მათ შუა იღი სიკალიერე იყო. სამხატვრო თეატრმა ეს სიკალიერე ამოაგო. მაყურებლის გონება სცენაზე გაღიჭნა და სცენა და პარტერი ერთად შეაისისლხორცა. ამ ორ ბანაკთა შორის განუწყვეტელი სიკოცხლე და კავშირი — აი რა შექმნა სამხატვრო თეატრმა. საზოგადოების ყურადღება ხან აღმაჰფრენს და ხან ძირს ეშვება, მაგრამ ამ დროს იგი მაინც მთლიანია; მუდმივი, განუწყვეტელი მოქმედება, სიკოცხლე გონებას იტაცებს და იპყრობს; აქ არის რითმა მოქმედებისა. ამ რითმაში არ არის სიკალიერე. პაუზებიც სავსეა სიკოცხლით, მოქმედებით. ვერ ამორებ ვერც თვალს, ვერც გონებას.

როგორც ზევითა ვსთქვი, 17 საათის განმავლობაში ერომანეთთან ლაპარაკის შემდეგ, ამ ორმა ჰენსონმა კ. ს. სტანისლავსკიმა და ვ. ი. ნემიროვიჩი-დანჩენკომ შექმნეს ეს ხელოვნების დიდებული ტაძარი. იგი ამ ყამად მსოფლიო უკოლა ხელოვნებისა; იქ მიდიან საზღვარ გარეთელი მსახიობნი და რეჟისორნი წარმოდგენების სანახავად, იქ იკრიბებიან რუსეთის ყველა კუთხიდან მოწაფენი მიიღონ სა-

სცენო განათლება. სამხატვრო თეატრში დედგმული პიესები, მათ მიერ გიბიროვნებული ტიპები საუკეთესო ნიმუშია ყველა თეატრებისა და მსახიობათვის. კ. ს. სტანისლავსკი, გარდა იმისა, რომ ერთი უპირველესი რეჟისორია, იგი საუკეთესო მსახიობიც არის. მისგან გაბიროვნებული გმირები სრული და უნაკლოლონი არიან. თავისი რეალიზმით მუდამ ალტაცებაში მოჰყავს მაყურებელი საზოგადოება.

ვიმეორებ, ამათ შექმნეს ეპოქა, შექმნეს ისტორია სსსრკ ხელოვნებისა და რუსეთის სრული უფლება აქვს, თავი მალა ასწიოს და სამართლიანად იამაყოს თავისი ორი შვილით.

ვალ. შალიკაშვილი



## სიმღერით მიხმობს

### შეუბრალებლად...

ვით ნათელი მზე—მხიარული და ვითა ორბი—თავისუფალი, მიეკრძალე მდელითა შორის და სურნელოვან ყვავილთა გროვას სიხარულით ვეკანებოდი. მივტოვდი მღერით, ვით სალკლიდან დაქანებული ანკარა წყარო, მიმქონდა თან ღნენით სასვე მოსიყვარულე გული. ყვავილნი ტრფობით მიზიდავდნენ და ალტაცებით მოჯადოვებულს ტუჩთა ღიმილს ცელქად მტაცებდნენ. სამაგიეროდ მეც მიღიმოდა ყველასათვის მიუწოდებელი ცისა კამარა, გულს მიხუტებდა, ტრფობით მაესებდა მიხედლილი შუქი მთვარისა; გულ-წარმტაც ხმითა სიყვარულზე ჩამომღეროდა სიო კუდრაჰა და იმავ ჰანგზე სამლოცველოდ თვისკენ მიწვევდა ტყე ნახ შრიალით. ჰაეროვანი სპეტაკი ნისლი ვით სამოსელი, გარს მხევეურდა და მღელვარე გულს მარგალიტებად ზედ ეპკურდა. გიჟურ ოცნებით თვისკენ მიწვევდნენ მთანი მღუმარნი და, ვითა ღმერთნი უხმო ძახილით მზესთან მიყვანას მუდამ მიქაღდნენ. ვარსკვლავნი ცისკენ ნახი ციმციმით მიპატყვებდნენ და რა ვიყავი მე იმათ შორის, თუ არ უმანკო, ვით ჰეველა ჰაეროვანი—ვით მზისა შვილი? მივხტოდი მეც მხიარულად, ვით ანკარა მდელითა

შორის, სიოსთან ერთად მეც ვმღეროდი სხვა და სხვა ჰანგზე და ნისლთან ერთად საოცნებოთ მთელ ქვეყანას ვეფინებოდი... ახლა?!?

ჰნედავთ, რა მოღლილი, მოქანკული ვზივარ ტბის პირად და სვედისაგან ჩამქრალ თვლებით მეორე მწარეს შავს უფსკრულს ჩაეჩერებივარ. ტბა ცრემლისა ისეთივე მშვიდი და წყნარია, ვით შიგ ჩაშტერებული სხივი მთვარისა. იგი არადღროს არა ღელდება, რადგან ის თითონ ძლიერ ღელვისაგან გადმოქმეფილი, გადმოტყორცნილი ტალღა არის მწუხარებისა. იგი არ ღელავს, მშვიდი არის, ვით თვით სვედა გამოუთქმელი, მხოლოდ კი ზოგჯერ, როცა ჰაერში ჩემი ყვავილის მწუხარე ხმანი ჩუმად სტირიან, ისიც ოდნავ გრძობით ტორტმანებს, მაგრამ უხმო და დაეგრძობილია. მწარე დუმილით დაეკტერივარ აქედ წმინდა ტბას. უფსკრულს ზოგჯერ თვლებს ვაშორებ, მაგრამ სად წავალ, სად ვავექცევი, როცა მის პირად ყვავილი ჩემი აღმოსულია. შეუბრალებელი და მტანჯველია მშვენიებით სასვე, მზეზედ უფრო ძლიერ მნათობი ჩემი ყვავილი.

მუდამ, როცა-კი მეტად მოქანკულს თვალი საძილედ მიმელულება და ის უმანკო წარსული ღნენა თავს, ვით ოცნება, შემომხეხევა, — უცხად მის მღერა უფსკრულიდან მწარე კენესით ყურთ მომესმევა და, ვით ქარისაგან ნარნარი ნისლი, ოცნება ტბილი საღდაც მიქრება.

გავახელ თვლებს, გავვიხედავ უფსკრულისაკენ, საღდაც ყვავილი სანეტარო ციური ხმებით თვისკენ მიტაცებს, მესხის მღერით.

ოხ, რა ლამაზია, რა მშვენიერი!..

მაგრამ ვიცი, ყვავილო, რასაც ნიშნავს შენი მშვენება და სილამაზე, ვიცი, რაც არის ეშხი შენი, მაგრამ შე უღმრთო, არა გრცხვენინან, ვგრთვი საოცნებო, მეტად მხიბლავი ჩემითვე რომ ხარ? განა ამ გულმა არ წამოგშობა, ამ ცრემლისა ტბამ არ გასაზრდოვა, სულისა სიბოძომ არ გახარა მაგ უფსკრულის წინ? შენ ხომ მე გშობე ავრე ლამაზი, მე დაგბადე ნეტარება მიუწოდებელი და რა იქნება ცოტა ოდნავ რომ დამაცალო?

ჰაერში მწარე სვედა სტირს, ჩამონადენთი მძიმე ცრემლის ტბა, ვით წამებული, უმწინველად თრთის. ყვავილი-კი, ვით მზე, დღისია



მნათობი და, ვითა მთვარე, ღამის დარაჯი, სხივოსანი, ვით ღ, თისასული და ნაზი, ვით სიყვარული, თვისკენ მიძახის, გულს მიღუღებს მისი ალერსი, მისი მღერა. მაგრამ მაცალე მშვენიერებავ, მაცალე კიდევ, თუ ჩემის სევდის სურათი შენ ხარ; მაცალე, ვიდრე იმას ვიტყოდე, ოდეს გიხილე როს დაიბადე:

იმ დროს ლხენისას, როს მდებლობით შორის ყვავილთა გროვას ვუმღერდი ნანას, როს წყაროს ჩუხჩუხს სიყვარულით თავს ვეხვეოდი, გულს ვიკონებდი, იმ დროს ალერსით მზემ სხივები შემომახვია და, ვით სიყვლილმა, წყნარი ჩურჩულით გულს ჩამომღერა.

რასაცა ჰხედავ, ჩემმა ძალამ წარმოშობაო, რითაც გულს ილხენ—ჩემი არის, ამ სხივების შემოქმედიო. ახლა შენ იცი, რასაცა შეჰქმნი, რასაცა-კი მომცემ ძლიერი გრძნობის და სიყვარულის სამაგიეროდ; სიყვარული-კი, ეს-იცოდე, ისეთი მზეა, რომ შეუძლიან თვით მე ჩამაჭროს და უკეთესნი ჩემზე სხვანი აღმოაბრწყინოს.—

ვით ქანდაკება გაშტერებული წყნარად ვუსმენდი და თითო სიტყას გულში ნაკვერჩხლად ღრმად ვიკონებდი.

დახუჭულ თვალებს მიმე ცრემლი პირველად მოსწყდა, ოცნების ნისლი უშალ გაპქრა და გამორკვეულს ტკბილი ძილისგან სევდა გულს მესა...

ყვავილით მოვშორდი, მოვავშორე ცის კამარას თვალნიმ ტირალნი, და ვით ობოლი, დედამიწისთვის, მოთქმას გულისას ყური დავუგდე. აღარ ვიცოდი, სადღა იყო ჩემთვის ალაგი, აღარ ვიცოდი, რისთვის ვიყავ უკვდავ ქმყნად წარმოშობილი.

მრცხვეროდა მუდამ, უღირსად ვგრძნობდი თავს ყოველ ქამსა; მრცხვეროდა მზისა, ვარსკვლავთა სხივნი თვისი ალერსით თითქოს მხაგრავდენ, სიო-კი მუდამ რალაკ ღლინით სულს მიშფოთებდა—არ მშორდებოდა.

ცეცხლი ტანჯვასა, ვით ქარ-ბუქით გრძნობისაგან დღითი დღე ძლიერდებოდა და ჩაღვენთებულ კამკამა ცრემლებს, ვით მიწა ცის ნამს, უშალ აშრობდა.

ცეცხლის ზღვა გულმა უღონომ ვერ იქნა ველარ დასტია და მისმა ძალამ ძლიერმა გარს განანგრევად გასწია.

ვაიბო გული... მწარე ტკივილი ცის კი-

დეს უკვდავ ხმებად მოვლინა და ის ცეცხლი უფსკრულის წინ, ვით ყვავილი, მომველინა.

ოხ, რალამაზია, რა ტურფაა და რანაზა! როგორ მიძახის, გონებას მტაცებს ის მშვენიერი. მაგრამ მაცალე სხივოსანო ჩემო ყვავილო, მაცალე, თუ სურათი ჩემი სევდისა შენა ხარ, მაცალე თუ ამ გულის ფრად ხარ გადაფუჭებული; მაცალე, კიდევ მოვისმინო უკვდავი ხმანი, რომ მით ვეწამო და წამებულო მითივე დაეტკე.

ჰაერში სევდა უკვდავ ხმებად სტირს, თვალთა ნაღენი მარგალიტის ზღვა გრძნობიერად თრთის, ყვავილი-კი, ვით მშველდით მნათობი და, ვითა მთვარე—ღამის დარაჯი, სხივოსანი, ვით ღეთისა სული, და ნაზი, ვით სიყვარული, თვისკენ მიძახის, გულს მიწამებს მისი მღერა, მისი ალერსი.

ჩვენ შორის-კი უფსკრულია თვალუწვდენელი.

სქვაბი



დასავლეთ - ევროპულ მოდერნიზმში

პირითადი მოტივები

(გაგრძელება. იხ. თ. და ც. № 18.)

IV

სიცოცხლის წინაშე ძრწოლას აძლეებს მადრნისტს სინამდვილის მაკეორ ტენების გაუყვებას. ჰოფმანსტალის ზეისის „ზობიდას ქორწინების“ გმირ-ქალი ცოცხლად და ეძლევა სიყვარულს მხოლოდ ტენებით. სინამდვილე მისთვის სიხმარას. მისი საქმრო, მახუცი ვაჭარი, ქორწინების წინა დღით იგებს, რომ ზობიდას სხვა უყვარს. ვაჭარს არ სწავდა ძალით ჯანმანის დამონება; იგი ნებას აძლეებს ზობიდას დაუბრუნდეს სიყვარულს გაცნ. ქალი ესწრაფვის სიცოცხლეს, სწავდა განიცადოს რეალური ბუნაიერება... მაგრამ სიცოცხლე ზირ-მოდუშული ხედება; გზად ზობიდას თავს ესმის გაფოთრებული, მშოერი ძაღლების სროვა, ვაგზაკთა ბრბო. ბეგრი ხეტიალისა და წამების შემდეგ იგი დაწვეს იმ სხლს, სადაც ცხოვრობს მისი მთვარე. აქ ზობიდა რწმუნდება, რომ საქმრო დასატრას მას. დაავადებულია გულთ უბრუნდება ზობიდას ძველ საქმროს, მახუც ვაჭარს... და სისწრაფეითილი მალაღის კოშკიდან ძირს ღვამიწაზე ვარდება.

ამგვარად ოცნება სინამდვილეზე უკეთესი და აღმადლებული გამოდგა.

